ფრე ”ბოკა ხუნიორსთან”

თბილისის ”დინამოს” ფეხბურთელები, როგორც ცნობილია, არგენტინაში იმყოფებიან, სადაც რამდენიმე ამხანაგურ საერთაშორისო მატჩს გამართავენ მსოფლიოს ჩემპიონთა ქვეყანაში.

თბილისელებს პირველივე შეხვედრა ჰქონდათ ბუენოს-აირესის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბთან, ”ბოკა ხუნიორსთან” (გუნდის სრული სახელწოდებაა ”კლუბ ატლეტიკო ბოკა ხუნიორს”, ე.ი. ”ბიჭები ბოკადან”). იგი ჩამოყალიბდა 1905 წელს ბუენოს-აირესის ზღვისპირა რაიონში და ერთ-ერთი უმდიდრესი კლუბია ლათინურ ამერიკაში. კლუბი დაახლოებით 20-ჯერ იყო არგენტინის ჩემპიონი. არაერთხელ ფლობდა ამ ქვეყნის თასს,მისი მოთამაშეები სისტემატურად გამოდიან არტგენტინის ნაკრებში და, საერთოდ, ”ბოკა ხუნიორსს” საერთაშორისო საფეხბურთო სამყაროში დიდი ავტორიტეტი გააჩნია.

თბილისის ”დინამოსა” და ბუენოს-აირესის ”ბოკა-ხუნიორსის” მატჩში ანგარიში მე-7 წუთზე გახსნა შენგელიამ. პირველი ტაიმის ბოლო წუთებზე საპასუხო გოლი გაიტანა მასტრანხელომ, შემდგომში კი ცვლილება ანგარიშში აღარ მომხდარა - 1:1.

”ლელო”, 3 თებერვალი, 1980 წ.